

წყალი სახელმწიფოს პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფი
მნიშვნელოვანი რესურსი (სუბსაჰარული რეგიონის, ახლო აღმოსავლეთის და
ინდოეთის სუბკონტინენტის ცალკეული ქვეყნების მაგალითზე)

DOI: <https://doi.org/10.52340/splogos.2025.02.06>

დავით კუხალაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი

davit.kukhalashvili2390@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0006-8249-296X>

დიმიტრი კობიაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი

dimitri.kobiashvili1@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0007-7672-0353>

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია წყლის რესურსის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა და მისი როლი საერთაშორისო ურთიერთობებში ქვეყნის შიდა პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში.

გლობალურ დონეზე, წყალი წარმოადგენს არა მხოლოდ სასიცოცხლოდ აუცილებელ ბუნებრივ რესურსს, არამედ სტრატეგიულ აქტივს, რომლის ხელმისაწვდომობა განსაზღვრავს სახელმწიფოების ეკონომიკურ მდგრადობას, უსაფრთხოებასა და საერთაშორისო პოლიტიკურ პოზიციას. ნაშრომში განხილულია წყალთან დაკავშირებული გეოპოლიტიკური გამოწვევები და შესაძლებლობები. მათ შორის, მეზობელი ქვეყნების ურთიერთობები, რესურსის მართვა, ენერგეტიკული და სასურსათო უსაფრთხოება. კვლევაში გაანალიზებულია იმ ქვეყნების მაგალითები, რომელთა სუვერენიტეტი და განვითარების პერსპექტივა უშუალოდ დამოკიდებულია წყლის რესურსების დაცვასა და მართვაზე.

ნაშრომში გამოკვეთილია ქვეყნის წყლის რესურსების სწორად გამოყენების აუცილებლობა, რათა სახელმწიფომ შეძლოს მათი სასარგებლოდ განკარგვა, აგრეთვე სწორად დაგეგმოს და განახორციელოს ღონისძიებები მისი, როგორც სტრატეგიული და, შესაბამისად, პოლიტიკურ-ეკონომიკური რესურსის გამოსაყენებლად გლობალურ ეკონომიკაში.

საკვანძო სიტყვები: წყალი, ხელისუფლება, პოლიტიკური უსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოება, სამხედრო უსაფრთხოება.

Water, as a renewable resource, ensures the political, economic and military security of the state

Dimitri Kobiashvili

PhD Student, Caucasus International University

dimitri.kobiashvili1@gmail.com

ORCID ID: <https://orcid.org/0009-0007-7672-0353>

David Kukhalashvili

Associate Professor of Caucasus International University

kukhalashvili2390@gmail.com

ORCID ID: <https://orcid.org/0009-0006-8249-296X>

Abstract

The article deals with the geopolitical significance and role of water resources in international relations in the process of ensuring the country's internal political, economic, and military security. At the global level, water is not only a vital natural resource but also a strategic asset, the availability of which determines the economic sustainability, security, and international political position of states. The paper discusses geopolitical challenges and opportunities related to water. Among them, relations between neighboring countries, resource management, energy, and food security. The study analyzes examples of countries whose sovereignty and development prospects directly depend on the protection and management of water resources.

The paper highlights the country's interest in properly managing water resources for the benefit of the state, as well as correctly planning and implementing measures for its use as a strategic and, accordingly, political-economic resource in the global economy.

Keywords: Water, government, political security, economic security, military security.

წყალი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან სტრატეგიულ რესურსს წარმოადგენს. მისი უპირატესობა სხვა რესურსებთან შედარებით ისაა, რომ იგი განახლებადია. განახლებადი რესურსები კი არ იფიტება და არ ქრება.

მელბურნის მკვლევრების მიერ დასაბუთებულია წყლის რესურსის განახლებადი ხასიათი.⁹⁰ განახლებადობის დამადასტურებელია ის პირობა, რომ წყლის რესურსების სრულყოფა წვიმების შედეგად კვლავ შესაძლებელია. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ წყლის რესურსის აღდგენადობას ადასტურებს აორთქლების თვისება. ამასთან ერთად, კონდენსაციაც წყლის ციკლის ბუნებრივი ნაწილია. მას შემდეგ, რაც წყლის მოლეკულები განიცდიან აორთქლებას, ისინი ხვდებიან ჰაერის ცივ მასებში და სხვადასხვა სახით უბრუნდებიან დედამიწას.⁹¹

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სასმელ წყალთან წვდომა ყველა ადამიანის უფლებაა, რასაც ადასტურებს, 2002 წელს, გაეროს მიერ მიღებული №15-ე დანართი - წყლის შესახებ: „ადამიანის უფლებაა, ჰქონდეს წვდომა საკმარის, უსაფრთხო, მისაღებ, ფიზიკურად ხელმისაწვდომ და მოსახერხებელ წყალზე პირადი და საოჯახო მოხმარებისთვის.“⁹² აღნიშნული მოთხოვნის შესრულებას ართულებს მსოფლიოში არსებული ვითარება, რომლის მიხედვითაც დედამიწაზე წყლების 97% მარილიანია, ხოლო დარჩენილი 3% მტკნარი. ამიტომ, დღის წესრიგში დეგრა მტკნარი წყალის რაციონალური გამოყენების გამოწვევა.⁹³

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებში სუფთა წყლის ნაკლებობა განსაკუთრებით მწვავე პრობლემაა, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ყოველდღიურ დაბრკოლებებს აწყდება. შესაბამისად, ამ პრობლემის არსებობა მუდმივად პოლიტიკური დესტაბილიზაციის მაინსპირირებელი ნიშანია. არსებობს ეჭვი, რომ სახელმწიფოებმა აღნიშნული პრობლემის მოგვარება საომარი მოქმედებითაც კი გადაწყვიტონ. შესაძლებელია, სამიზნე ქვეყნები სამხედრო, ეკონომიკური, პოლიტიკური დესტაბილიზაციის ობექტებად იქცნენ.

გამოთქმული მოსაზრების გასამყარებლად გამოდგება ის გარემოება, რომ ნებისმიერ სახელმწიფოში ადამიანის ხელმიუწვდომლობა სასმელ წყალთან წარმოადგენს ანტისახელისუფლო განწყობების მაინსპირირებელ ვითარებას, რაც მცირედიდან მასშტაბური უკმაყოფილების, პროტესტის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

⁹⁰ Green Coast. “Is Water Renewable? Everything You Need to Know.” Green Coast, ბ.ნ. ნოემბერი 2024 <https://greencoast.org/is-water-renewable/>

⁹¹ Green Coast. “Is Water Renewable? Everything You Need to Know.” Green Coast, ბ.ნ. ნოემბერი 2024 <https://greencoast.org/is-water-renewable/>

⁹² United Nations, *The Human Right to Water and Sanitation: Media Brief* ბ.ნ. 12.18.2024 <https://shorturl.at/pfyYx>

⁹³ Water Facts - Worldwide Water Supply <https://www.usbr.gov/mp/arwec/water-facts-ww-water-sup.html>

ამ პირობის მიღწევისას კი გაზრდილია არსებული წესწყობილების ძალადობრივი დამხობის შესაძლებლობა.

არასაკმარისი წყლის რესურსები შესაძლოა სახელმწიფოთა შორის კონფლიქტის წყაროდ იქცეს, რაც გამოიწვევს სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების სეგმენტების დაზიანებას. ამავე მიმართულებით, წყლის დეფიციტი ხელს უწყობს მადესტაბილიზირებელი პროცესების ინსპირირებას.

გამოდის, რომ ობიექტი ქვეყნის წყლის რესურსზე კონტროლი დაინტერესებული სახელმწიფოების სადაზვერვო შეღწევადობის მნიშვნელოვან საფუძვლებს ქმნის, რადგან ჩამოთვლილი მიზნები და შედეგები თანხვედრაშია სადაზვერვო სამსახურების მიზნებთან და შედეგებთან.⁹⁴

გამოთქმული მოსაზრების კიდევ უფრო გასამყარებლად გამოდგება ღია წყაროებში არსებული ინფორმაციები. თუ 2015 წლის მონაცემებით, დაახლოებით 884 მილიონ ადამიანს არ ჰქონდა წყალთან უსაფრთხო წვდომის შესაძლებლობა 2022 წლის მდგომარეობით მაჩვენებელი კვლავ გაიზარდა, ხოლო მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი განიცდიდა წყლის დანაკლისით მწვავე სტრესს სხვადასხვა პერიოდების მიხედვით⁹⁵. უნდა აღინიშნოს, რომ UNICEF-ის მონაცემების მიხედვით, საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას განვითარებად ქვეყნებში, საფრთხეშია 190 მილიონი ბავშვის სიცოცხლე. კერძოდ კი გამორჩეულია აფრიკული ქვეყნები მწირე წყლის რესურსებით: ბენინი, ბურკინა ფასო, კამერუნი, ჩადი, კოტ-დივუარი, გვინეა, მალი, ნიგერი, ნიგერია და სომალი.⁹⁶ გასათვალისწინებელი საგანგაშო საპროგნოზო მონაცემები, რომლის მიხედვითაც პროგრესის თანამედროვე ტემპების გათვალისწინებით 2030 წლისათვის 2 მილიარდ ადამიანს კვლავ არ მიეცემა შესაძლებლობა გამოიყენოს უსაფრთხო სასმელი წყალი.⁹⁷⁻⁹⁸

⁹⁴ თენგიზ ენდელაძე, საგარეო დაზვერვის სამსახურები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი, თბილისი, 2007, გვ.5-15

⁹⁵ Press Release | Water crises threaten world peace (report)
<https://www.un.org/sustainabledevelopment/blog/2024/03/un-world-water-development-report/#:~:text=As%20of%202022%2C%20roughly%20half,their%20annual%20renewable%20freshwater%20supply.>

⁹⁶ UNICEF, “Triple threat of water related crises endangering the lives of 190 million children” Press release, March 20, 2023, <https://shorturl.at/Uy59D>

⁹⁷ United Nations. The Human Right to Water and Sanitation: Media Brief. United Nations Department of Economic and Social Affairs, 2010. Pg 1-2

⁹⁸ United Nations Statistics Division (UNSD) Clean water and sanitation
<https://unstats.un.org/sdgs/report/2024/Goal-06/>

გამოდის, რომ წყალზე წვდომის უზრუნველყოფა წარმოადგენს გეოპოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობის საკითხს, რაც გლობალური პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ხასიათის სტაბილურობის, სახელმწიფოთა ვალდებულებების და საერთაშორისო მხარდაჭერის გარეშე წარმოუდგენელია.

ღია წყაროში არსებული ინფორმაციების ანალიზი იძლევა შესაძლებლობას გამოვკვეთოთ 2023 წლის მდგომარეობით მოსახლეობის სასმელ წყალზე ხელმიწვდომობის თვალსაზრისით შეიძლება ხუთი „ფეთქებადსაშიში“ რეგიონი მსოფლიოს ხუთი რეგიონი:⁹⁹

1. **კენია, ეთიოპია და სომალი** (აღმოსავლეთ აფრიკის რეგიონი, სადაც გვალვები და კლიმატის ცვლილება მნიშვნელოვნად ზღუდავს წყლის ხელმისაწვდომობას);
2. **სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა** (ქალაქებში, მაგალითად, კეიპტაუნი, რომელმაც შეიმუშავა ტერმინი „ნულოვანი დღის“¹⁰⁰ პროგნოზი, რაც ნიშნავს - წყლის რესურსების ამოწურვას. მსგავსი სიგნალი გახდა გლობალური გაფრთხილება და საზოგადოებასთან კომუნიკაციის ეფექტური საშუალება წყლის მართვის საკითხებზე);
3. **ერაყი** (ტიგროსისა და ევფრატის დინების ნაკადი 60% ით არის შემცირებული, რაც საკუთრივ დაკავშირებულია ირანის და თურქეთის ნაკლები წყლის გამოშვებით. ერაყის დიპლომატიური თხოვნა უშედეგოდ დასრულდა. ქვეყნებს შორის დამაბულობა კი გაიზარდა);
4. **ირანი და ავღანეთი** (ჰილმენდის მდინარე, რომელიც არამხოლოდ ჯებურია ქვეყნებს შორის, არამედ წარმოადგენს წყლის რესურსების ძირითადი წყაროს);
5. **პაკისტანი და ინდოეთი** (WPS-ის კოორდინატორი სიუზან შმაიერი აღნიშნავს, რომ წყლის კრიზისი ხშირად საკმარისი ყურადღება არ ექცევა. მისი პირობითულობის ნაკლებობა კი საფრთხეს უქმნის გლობალურ და რეგიონალურ სტაბილურობას. მსგავსი პრობლემების სისტემური მართვა კვლავ გამოწვევად რჩება, თუმცა ფაქტია, კოოპერაცია აუცილებელია).

გაუმართავი ინფრასტრუქტურა და კლიმატის ცვლილებებისადმი არასათანადო მომზადება, ზემოხსენებულ რეგიონებს ეპიდემიის გავრცელებისთვის საშიშ ზონებად

⁹⁹ Euronews Green, “Борьба за воду: пять регионов, в которых могут вспыхнуть конфликты из-за водного кризиса,” <https://ru.euronews.com/green/2023/09/01/green-forgotten-droughts.ბ.ბ. 12/10/2024>

¹⁰⁰ Cape Town's “Day Zero” water crisis: A manufactured media event? <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2212420921004428>

აქცევს.¹⁰¹ თვალსაჩინო მაგალითს ქოლერის გავრცელება წარმოადგენს. იგი პრაქტიკულად ცხადყოფს თუ როგორ შეიძლება წყლის რესურსების დაბინძურება და სანიტარული პირობების არასათანადოდ მართვა გადაიზარდოს ჯანდაცვის, ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისში.¹⁰²

შედარებისთვის, 2024 წელს და 2024 წლის 29 თებერვლის მდგომარეობით, დაფიქსირდა 2 943 შემთხვევა, მათ შორის 26 გარდაცვალების შემთხვევა.¹⁰³

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა - 2023 წლის 1 თებერვლიდან 2024 წლის 13 თებერვლის ჩათვლით პერიოდი, ოფიციალურად ქოლერის ეპიდემიურ აფეთქებად მოისაზრება. დაფიქსირებული შემთხვევა 1395, გარდაცვლილი 47. ლეტალურობის მაჩვენებელი (CFR-3,4%).¹⁰⁴

ქოლერის გავრცელების სტატისტიკა აღმოსავლეთ აფრიკაში (2024-2025)

წინამდებარე მიმოხილვა წარმოადგენს ქოლერის გავრცელების სტატისტიკურ მონაცემებს აღმოსავლეთ აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში 2024 და 2025 წლებში, განახლებული ინფორმაციით 2025 წლის მარტის მდგომარეობით. მოცემული მონაცემები ასახავს როგორც ახალი შემთხვევების დინამიკას, ასევე შედარებით სურათს წინა პერიოდთან მიმართებით.

ქოლერის შემთხვევები ქვეყნების მიხედვით

ქვეყანა	პერიოდი	აღწერა	შემთხვევები	გარდაცვლილი
კენია	2024 წლის 9 აგვისტოდან 2025 წლის 12 მარტამდე	დაფიქსირდა ახალი შემთხვევები	37	1
	2025 წლის 1 იანვრიდან 2025	დაფიქსირდა სულ შემთხვევები	37	1

¹⁰¹ Lack of water and infrastructure management could lead to water scarcity by 2025 in South Africa <https://smartwatermagazine.com/blogs/moegamad-zaid-railoun/lack-water-and-infrastructure-management-could-lead-water-scarcity-2025>

¹⁰² Cholera <https://www.mayoclinic.org/diseases-conditions/cholera/symptoms-causes/syc-20355287>

¹⁰³ European Centre for Disease Prevention and Control. Cholera worldwide overview <https://www.ecdc.europa.eu/en/all-topics-z/cholera/surveillance-and-disease-data/cholera-monthly>

¹⁰⁴ Cholera in the WHO African Region, Weekly Regional Cholera Bulletin: 4 March 2024 გვ23

ქვეყანა	პერიოდი	აღწერა	შემთხვევები	გარდაცვლილი
	წლის 12 მარტამდე			
	2024 წელი (29 თებერვლის მდგომარეობით)	შედარებისთვის (საერთო გარდაცვლილთა რაოდენობა 2024 წელს)	N/A	165
ეთიოპია	2025 წლის 3 თებერვლიდან 3 მარტამდე	დაფიქსირდა ახალი შემთხვევები	680	22
	2025 წლის 1 იანვრიდან 3 მარტამდე	დაფიქსირდა სულ შემთხვევები	857	25
	2024 წელი (29 თებერვლის მდგომარეობით)	შედარებისთვის (საერთო შემთხვევები და გარდაცვლილთა რაოდენობა 2024 წელს)	2 288	18
სომალი	2025 წლის 20 იანვრიდან 17 თებერვლამდე	დაფიქსირდა ახალი შემთხვევები	632	N/A
	2025 წლის 1 იანვრიდან 17 თებერვლამდე	დაფიქსირდა სულ შემთხვევები	1 409	1
	2024 წელი (29 თებერვლის მდგომარეობით)	შედარებისთვის (საერთო შემთხვევები და გარდაცვლილთა რაოდენობა 2024 წელს)	2 943	26

ქვეყანა	პერიოდი	აღწერა	შემთხვევები	გარდაცვლილი
სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა	2023 წლის 1 თებერვლიდან 2024 წლის 13 თებერვლამდე	ოფიციალურად მოისაზრება ქოლერის ეპიდემიურ აფეთქებად. ლეტალურობის მაჩვენებელი (CFR) - 3.4%.	1 395	47

წარმოდგენილი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებელი ფუნქციური არაკომპეტენტურობა რომელსაც ხელს უწყობს პრაქტიკული პოლიტიკური დესტაბილიზაცია, ატარებს ისტორიულ ხასიათსაც. ოთხივე აფრიკული ქვეყანა საკუთარ განვითარების ქრონოლოგიაში შეიცავს, პოსტკოლონიალური ისტორიის გავლენას. ეთიოპიაც კი, რომელიც ფორმალურად არ იყო კოლონიზირებული, 1935-1936 წლიდან 1941 წლის ჩათვლით, იტალიების მხრიდან, განიცდიდა იმპერიულ ზემოქმედებას, რაც ხელყოფდა მის თვითმყოფადობას.¹⁰⁵⁻¹⁰⁶ დღესაც პოსტკოლონიალური ქვეყნები არაერთხელ გამხდარან გარე აქტორების სამიზნე ინვესტორების უფლებების გაზრდის მოთხოვნით.¹⁰⁷

ულიამ რუტო, რომელიც ამჟამინდელი კენიის პრეზიდენტია, ხშირად მოქცეულა პოლიტიკური გადატრიალების მცდელობის სამიზნე.¹⁰⁸ როგორც მისი პრეზიდენტობის, ასევე ვიცე-პრემიერობის პერიოდში, იგი ხშირად წარმოადგენდა თავდასხმის ობიექტს.¹⁰⁹⁻¹¹⁰ საგულისხმოა ულიამ რუტოს საგარეო პოლიტიკაც. მას

¹⁰⁵ Italo-Ethiopian War <https://www.britannica.com/event/Italo-Ethiopian-War-1935-1936>

¹⁰⁶ Ethiopian-Italians

[https://journals.openedition.org/cy/1878?lang=en#:~:text=The%20Italian%20%E2%80%9Coccupation%22%20of%20Ethiopia,longer%20\(1880s%E2%80%911940s\).](https://journals.openedition.org/cy/1878?lang=en#:~:text=The%20Italian%20%E2%80%9Coccupation%22%20of%20Ethiopia,longer%20(1880s%E2%80%911940s).)

¹⁰⁷ Protests and Political Instability Pose Looming Economic Challenge in Sub-Saharan Africa

<https://thechango.com/2025/01/17/protests-and-political-instability-pose-looming-economic-challenge-in-sub-saharan-africa/>

¹⁰⁸ Kenyan president faces tough choices after day of bloodshed

<https://www.bbc.com/news/articles/cd11023xm15o>

¹⁰⁹ Jacob Juma made enemies online including Ruto <https://www.the-star.co.ke/news/2016-05-06-jacob-juma-made-enemies-online-including-ruto>

¹¹⁰ Kenya: Update - Boniface Mwangi Arrested, Charged With Plotting 'Revolution'

<https://allafrica.com/stories/201905070021.html>

ლიად აქვს გამოცხადებული რომ: „კენია არ იყურება არც დასავლეთით, არც აღმოსავლეთით. იგი იყურება პირდაპირ.“¹¹¹

ქვეყანაში დესტრუქციული ხასიათის პროტესტების ერთ-ერთი მთავარი ლიდერი ბონიფაცი მვანგი (Boniface Mwangi) გამოირჩევა რა, ევროპული ქვეყნების ღია და პირდაპირი აღიარება-მხარდაჭერით, აქტიურად აკრიტიკებდა ლეგიტიმურ მთავრობას და ეწეოდა მის დისკრედიტაციას.¹¹²⁻¹¹³

2023 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთმა მეწარმემ, ჯეიმზ დონალდსონმა, აფრიკის ქვეყნებში (კამერუნში, კენიაში, სომალიში, უგანდასა და ზიმბაბვეში) წყლის რესურსების პრობლემა უშუალოდ მთავრობის არაკომპეტენტურობას დაუკავშირა. აღნიშნულმა ფაქტმა ღია დაპირისპირება გამოიწვია ჩამოთვლილი ქვეყნების მთავრობებთან, რადგან დონალდსონმა უცხოური ჩარევა გამოიყენა, როგორც მინიშნებული მთავრობების დისკრედიტაციის საბაზი.

აღნიშნული ჩარევის სიმძიმეს განაპირობებდა ის, რომ კენიაში, 2021 წლიდან წყლის პოლიტიკის გაუმჯობესების ფონზე, საპროტესტო აქციები მიმართულია სახელმწიფოს რეგულაციების წინააღმდეგ.¹¹⁴ ყოველივე ეს სახელმწიფოში პოლიტიკური დესტაბილიზაციის ხელსაყრელობას ქმნის. ახალგაზრდები, მობილიზირებულნი არიან სოციალური მედია საშუალებით, საკუთარ თავს მოიხსენიებენ ჯენზებად. პოზიციონირებენ- როგორც გადასახადების მოწინააღმდეგე რევოლუციონერები.¹¹⁵⁻¹¹⁶

დასკვნა

☞ გაეროს მიერ 2002 წელს მიღებული №15 დანართი წყალზე, მოსახლეობის წყალზე წვდომის ხელსაყრელობის შესახებ 2025 წლისათვის დაძლეული არ არის, უფრო მეტიც, მონაცემებით 2030 წლისათვის 2 მილიარდ ადამიანს კვლავ

¹¹¹ "We're neither facing east nor west; we're facing forward," says President Ruto amid US-China rivalry <https://africa.businessinsider.com/local/leaders/were-neither-facing-east-nor-west-were-facing-forward-says-president-ruto-amid-us/7kc6f04>

¹¹² Kenyan photojournalist youngest winner of prestigious prize <https://archive.ph/20130223031402/http://www.rnw.nl/africa/article/kenyan-photojournalist-wins-another-prestigious-award>

¹¹³ Boniface Mwangi <https://peaceoneday.org/Main/Contributors?p=BonifaceMwangi>

¹¹⁴ REPORT ON SESSIONAL PAPER NO. 1 OF 2021 ON NATIONAL WATER POLICY.pdf <http://www.parliament.go.ke/sites/default/files/2021-08/REPORT%20ON%20SESSIONAL%20PAPER%20NO.%201%20OF%202021%20ON%20NATIONAL%20WATER%20POLICY.pdf>

¹¹⁵ New faces of protest - Kenya's Gen Z anti-tax revolutionaries <https://www.bbc.com/news/articles/c2jj5mee1pmo>

¹¹⁶ Kenya scraps bread tax as protesters tear-gassed <https://www.bbc.com/news/articles/ce77ld43Ingo>

არ მიეწოდება უსაფრთხო წყალი. რაც, შესაძლოა, ამგვარი საფრთხის ქვეშ მყოფი ქვეყნებისათვის პოლიტიკური დესტაბილიზაციის ინსპირების წყაროდ ჩაითვალოს. აღნიშნული პრობლემის მოუგვარებლობა შესაძლებელია სახელმწიფოებს შორის საომარ მოქმედებებში გადაიზარდოს, რამაც შესაძლოა სამიზნე (სუბსაჰარული რეგიონის, ახლო აღმოსავლეთის და ინდოეთის სუბკონტინენტის ცალკეული და სხვა) სახელმწიფოები სამხედრო, ეკონომიკური, პოლიტიკური დესტაბილიზაციის ობექტებად აქციონ;

☞ ადამიანის სასმელ წყალზე ხელმიუწვდომლობა შესაძლოა იქცეს ანტისამთავრობო განწყობების მნიშვნელოვან კატალიზატორად, რაც თანდათანობით გადაიზარდოს ფართომასშტაბიან უკმაყოფილებასა და პროტესტში. ასეთი ვითარება ქმნის არსებული წესწყობილების ძალადობრივი გზით დამხობის გაზრდილ რისკს. შესაბამისად, სუბსაჰარული აფრიკის, ახლო აღმოსავლეთისა და ინდოეთის სუბკონტინენტის გარკვეული ქვეყნები განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან ამ საფრთხის მიმართ.

☞

☞ სახელმწიფოების ეროვნული უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს გაუმართავი ინფრასტრუქტურა და კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული მოუმზადებლობა, რაც ზრდის ეპიდემიების გავრცელების რისკს. ეპიდემიის ისეთი მახასიათებლების გათვალისწინებით, როგორცაა ფატალური შემთხვევები და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დროებითი ან მუდმივი შრომისუუნარობა, ეს პროცესი შესაძლოა გახდეს ქვეყნის ეკონომიკური, სამხედრო და, შესაბამისად, პოლიტიკური უსაფრთხოებისთვის დამანგრეველი შედეგების ინსპირატორი.

☞ სახელმწიფოში წყლის პოლიტიკის გაუმჯობესების ფონზე, სისტემური ხასიათის საპროტესტო აქციები, რომლებიც პოლიტიკური დესტაბილიზაციის მნიშვნელოვან ინსპირაციას წარმოადგენს, მოსახლეობის წყალზე ხელმისაწვდომობის პროცესის შემაფერხებელი გარემოებაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ენდელაძე თ.** 2007. *საგარეო დაზვერვის სამსახურები*. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი.
2. **კუხალაშვილი დ., კუხალაშვილი თ.** 2012. *საქართველოს პერსპექტივები ენერჯო უსაფრთხოების სფეროში*. თბილისი: Caucasus Academy of Security Experts.
3. **Business Insider Africa.** "We're neither facing east nor west; we're facing forward," says President Ruto amid US-China rivalry
<https://africa.businessinsider.com/local/leaders/were-neither-facing-east-nor-west-were-facing-forward-says-president-ruto-amid-us/7kc6f04>
4. **Encyclopædia Britannica, Inc.** Italo-Ethiopian War
<https://www.britannica.com/event/Italo-Ethiopian-War-1935-1936>
5. **Euronews Green,** “Борьба за воду: пять регионов, в которых могут вспыхнуть конфликты из-за водного кризиса,”
<https://ru.euronews.com/green/2023/09/01/green-forgotten-droughts>
6. **European Centre for Disease Prevention and Control.** Cholera worldwide overview
<https://www.ecdc.europa.eu/en/all-topics-z/cholera/surveillance-and-disease-data/cholera-monthly>
7. **Giovanna Trento,** “Ethiopian-Italians”, *Chroniques Yéménites* [Online], 17 | 2012, Online since 23 March 2013, connection on 01 May 2025. URL:
<http://journals.openedition.org/cy/1878>; DOI: <https://doi.org/10.4000/cy.1878>
8. **Green Coast.** “Is Water Renewable? Everything You Need to Know.” *Green Coast.*
<https://greencoast.org/is-water-renewable/>.
9. **International Committee of the Red Cross.** “Syria: Water Crisis after 10 Years of War.” *ICRC.* March 22, 2021 <https://shorturl.at/o9EAW>
10. **Mayo Clinic.** Cholera. <https://www.mayoclinic.org/diseases-conditions/cholera/symptoms-causes/syc-20355287>

11. **National Geographic Society.** “Aswan Dam Completed.” *National Geographic Education Resource...* <https://shorturl.at/OvvfM>
12. **Smart Water Magazine.** Lack of water and infrastructure management could lead to water scarcity by 2025 in South Africa
<https://smartwatermagazine.com/blogs/moegamad-zaid-railoun/lack-water-and-infrastructure-management-could-lead-water-scarcity-2025>
13. **The British Broadcasting Corporation.** Kenyan president faces tough choices after day of bloodshed <https://www.bbc.com/news/articles/cd11023xm15o> ; New faces of protest - Kenya's Gen Z anti-tax revolutionaries
<https://www.bbc.com/news/articles/c2jj5mee1pmo>
14. **UNICEF.** “ Triple threat of water related crises Triple 190 M. children.”
<https://shorturl.at/Uy59D>
15. **United Nations.** The human right to water and sanitation United Nations Department of Economic and Social Affairs, 2010.
16. **United Nations Statistics Division (UNSD)** Clean water and sanitation
<https://unstats.un.org/sdgs/report/2024/Goal-06/>
17. **United States Bureau of Reclamation.** Water Facts - Worldwide Water Supply
<https://www.usbr.gov/mp/arwec/water-facts-ww-water-sup.html>
18. **Warner, Jeroen F., and Richard Meissner.** "Cape Town's “Day Zero” water crisis: A manufactured media event?." *International Journal of Disaster Risk Reduction* 64 (2021): 102481.